წერილის ნომერი: **48-4824200137**
თარიღი: **18/07/2024**

ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს

გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტს

გაცნობებთ, რომ ევროკავშირის (INTERREG VI-B) შავი ზღვის აუზის ქვეყნების NEXT პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული საგრანტო პროექტის - „სმარტი და ინოვაციური გადაწყვეტილებები შავი ზღვის ქვეყნებში მწვანე და სუფთა სასოფლო თემებისათვის - Smart4Rural“ შესაბამისად, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გვიშტიბში დაგეგმილი გვაქვს კომპოსტირების ცენტრის მოწყობა და ქალაქის მწვანე ნარჩენებისაგან ორგანული მასის (კომპოსტის) წარმოება.

ვინაიდან ნარჩენების აღდგენა წარმოადგენს საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-2 დანართის მე-10 პუნქტის 10.3. ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას, იგივე კოდექსის მე-7 მუხლის შესაბამისად, სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით, შემუშავებული იქნა სკრინინგის განაცხადი.

წარმოგიდგენთ ზემოაღნიშნულ სკრინინგის განაცხადს. გთხოვთ, განიხილოთ

და მიიღოთ გადაწყვეტილება საქმიანობის გზშ-სადმი დაქვემდებარების შესახებ.

დანართი:

1. მწვანე ნარჩენების კომპოსტირების ცენტრის სკრინინგის განაცხადი (ელექტრონულად);

2. 2024 წლის 11 ივლისის N01-482419335 წერილი ზედამხედველობის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახურს (ელექტრონულად);

3. ზედამხედველობის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 12 ივლისის N06-4824194106 წერილი ტერიტორიის ზონირების შესახებ (ელექტრონულად);

4. მიწის Shape ფაილები (ელექტრონულად).

პატივისცემით,

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

საქართველო, 5400, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25, ტელეფონი (+995)595 95 90 72;
ელ-ფოსტა: tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge, ვებ-გვერდი: www.tskaltubo.gov.ge
Georgia 5400 Tskaltubo, Rustaveli st.N25; Phone: (+995)595 95 90 72; E-mail:
tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge; Website: www.tskaltubo.gov.ge